www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2016

(წინასწარი)

10.03.2017

www.geostat.ge

10.03.2017

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2016 წლის წლიური და 2016 წლის IV კვარტალი
(წინასწარი)

## 2016 წელი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წელს 1645 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22 პროცენტით აღემატება 2015 წლის წინასწარ და 5 პროცენტით ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2012-2016 წლებში.

**დიაგრამა №1.**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2012-2016* წწ.**
(მლნ. აშშ დოლარი)




*წინასწარი მონაცემები.

**ცხრილი №1.**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში**
**(ათასი აშშ დოლარი)**

| წელი | I | II | III | IV | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|
| 2006 | 146,012 | 306,907 | 280,748 | 456,708 | **1,190,375** |
| 2007 | 421,370 | 401,452 | 489,112 | 702,908 | **2,014,842** |
| 2008 | 537,674 | 605,357 | 134,709 | 286,222 | **1,563,962** |
| 2009 | 113,974 | 177,229 | 173,223 | 193,974 | **658,401** |
| 2010 | 166,544 | 208,298 | 225,558 | 214,097 | **814,497** |
| 2011 | 209,720 | 248,335 | 316,595 | 342,594 | **1,117,244** |
| 2012 | 261,194 | 217,671 | 199,000 | 233,699 | **911,564** |
| 2013 | 252,316 | 207,893 | 254,825 | 226,868 | **941,903** |
| 2014 | 309,463 | 196,245 | 725,993 | 526,722 | **1,758,423** |
| 2015 | 291,472 | 462,725 | 483,199 | 327,104 | **1,564,500** |
| 2016* | 388,877 | 457,659 | 468,526 | 330,306 | **1,645,369** |

*წინასწარი მონაცემები.

**ცხრილი №2.**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით 2015-2016 წწ.**
**(მლნ. აშშ დოლარი)**

| | 2015 | | | | | 2016* | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | **სულ** | I** | II | III | IV | **სულ** |
| **სულ** | **291** | **463** | **483** | **327** | **1,564** | **389** | **458** | **469** | **330** | **1,645** |
| მათ შორის: | | | | | | | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 231 | 333 | 289 | 370 | **1,223** | 1010 | 269 | 222 | 260 | **1,762** |
| რეინვესტიცია^ | 44 | 54 | 112 | -64 | **146** | 53 | 146 | 241 | 79 | **519** |
| სავალო ვალდებულებები^^ | 17 | 75 | 82 | 21 | **195** | -674 | 42 | 6 | -9 | **-635** |

*წინასწარი მონაცემები.

**2016 წლის I კვარტალში ადგილი ჰქონდა სესხის კაპიტალიზაციას. აღნიშნული ოპერაცია თანაბრად არის ასახული სავალო ვალდებულებების შემცირების და სააქციო კაპიტალის ზრდის მიმართულებით.

^ რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.
^^ სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №3 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2012-2016 წლებში.

**ცხრილი №3.**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2012-2016 წწ.**

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016* |
|---|---|---|---|---|---|
| რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%) | 13 | 28 | 18 | 9 | 32 |

*წინასწარი მონაცემები.

**დიაგრამა №2.**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2012-2016* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)**




*წინასწარი მონაცემები.

2016 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №4):

**ცხრილი №4. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2016 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)**

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016* |
|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | **912** | **942** | **1,758** | **1,564** | **1,645** |
| მათ შორის: | | | | | |
| აზერბაიჯანი | 59 | 82 | 341 | 550 | 578 |
| თურქეთი | 81 | 43 | 63 | 73 | 272 |
| გაერთიანებული სამეფო | 94 | 55 | 108 | 386 | 121 |
| ნიდერლანდები | 35 | 153 | 374 | 155 | 95 |
| ჩეხეთი | 8 | 44 | 52 | 17 | 93 |
| ლუქსემბურგი | 42 | 143 | 110 | 106 | 79 |
| პანამა | 10 | 26 | 71 | 10 | 78 |
| აშშ | 20 | 45 | 182 | 18 | 45 |
| კვიპროსი | 39 | -106 | -5 | -29 | 38 |
| დანარჩენი ქვეყნები | 524 | 459 | 464 | 279 | 246 |

*წინასწარი მონაცემები.

**დიაგრამა №3.**




* წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2016 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 59 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №4. პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 35 პროცენტით, მეორეზე - თურქეთი 17 პროცენტით, ხოლო მესამეზე - გაერთიანებული სამეფო 7 პროცენტით.

**დიაგრამა №4.**




*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, 2016 წლის მიხედვით, მოცემულია ცხრილში №5:

**ცხრილი №5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012-2016 წწ.**
**(მლნ. აშშ დოლარი)**

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016* |
|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | **912** | **942** | **1758** | **1564** | **1645** |
| მათ შორის: | | | | | |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 73 | 140 | 434 | 585 | 645 |
| ენერგეტიკა | 179 | 245 | 190 | 124 | 203 |
| მშენებლობა | 42 | 50 | 317 | 111 | 163 |
| საფინანსო სექტორი | 163 | 166 | 115 | 179 | 136 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 168 | 100 | 205 | 67 | 120 |
| სასტუმროები და რესტორნები | 18 | -13 | 125 | 139 | 111 |
| უძრავი ქონება | 53 | 42 | 139 | 90 | 70 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 5 | 44 | 43 | 88 | 38 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 18 | 1 | -10 | 140 | 27 |
| სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | 16 | 12 | 12 | 15 | 10 |
| დანარჩენი სექტორები | 178 | 156 | 188 | 28 | 122 |

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2016 წელს 61 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 645 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი 203 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - მშენებლობა 163 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №5:

დიაგრამა №5.

**უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016* წელს (%)**




*წინასწარი მონაცემები.

## 2016 წლის IV კვარტალი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წლის IV კვარტალში 330 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2015 წლის IV კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 23 პროცენტით, ხოლო ამავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებზე 1 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2014-2016 წლებში კვარტალურ ჭრილში.

**დიაგრამა №6.**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2014-2016* წწ.**
(მლნ. აშშ დოლარი)




*წინასწარი მონაცემები.

2016 წლის IV კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №6):

**ცხრილი №6. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2016 წლის IVკვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)**

| | 2014 | | | | 2015 | | | | 2016* | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | I | II | III | IV | I | II | III | IV |
| **სულ** | **309** | **196** | **726** | **527** | **291** | **463** | **483** | **327** | **389** | **458** | **469** | **330** |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | | |
| აზერბაიჯანი | 64 | 78 | 110 | 89 | 57 | 161 | 178 | 154 | 137 | 146 | 151 | 145 |
| თურქეთი | 25 | 20 | 21 | -4 | 29 | 40 | 40 | -37 | 57 | 29 | 111 | 75 |
| გაერთიანებული სამეფო | 33 | -14 | 24 | 64 | 45 | 128 | 39 | 174 | 44 | 64 | -27 | 40 |
| პანამა | 9 | -1 | 44 | 18 | 0 | 7 | 2 | 0 | 3 | 27 | 9 | 39 |
| ნიდერლანდები | 87 | 98 | 99 | 90 | 61 | 63 | 60 | -30 | 21 | 16 | 24 | 33 |
| ჩეხეთი | 9 | 12 | 19 | 13 | 3 | 0 | 14 | 0 | 2 | 36 | 28 | 27 |
| საერთაშორისო ორგანიზაციები | 2 | -116 | 5 | 3 | 16 | -3 | 19 | 8 | 16 | 4 | 2 | 11 |
| ლუქსემბურგი | 16 | 54 | 17 | 23 | 33 | 22 | 29 | 22 | 11 | 5 | 52 | 10 |
| გერმანია | 0 | 2 | 0 | 2 | 3 | 3 | 8 | -17 | 6 | 5 | 3 | 10 |
| დანარჩენი ქვეყნები | 65 | 62 | 386 | 229 | 44 | 41 | 94 | 53 | 91 | 127 | 113 | -59 |

*წინასწარი მონაცემები.

2016 წლის IV კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №7, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 44 პროცენტით, მეორე ადგილზე - თურქეთი 23 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილზე გაერთიანებული სამეფო - 12 პროცენტით.

**დიაგრამა №7.**

**უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2016* წლის IV კვარტალში (%)**




პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2016 წლის IV კვარტალის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №7:

**ცხრილი №7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014-2016 წწ.**
**(მლნ. აშშ დოლარი)**

| | 2014 | | | | 2015 | | | | 2016* | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | I | II | III | IV | I | II | III | IV |
| **სულ** | **309** | **196** | **726** | **527** | **291** | **463** | **483** | **327** | **389** | **458** | **469** | **330** |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | | |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 82 | 113 | 133 | 107 | 158 | 207 | 200 | 20 | 202 | 175 | 140 | 128 |
| ენერგეტიკა | 23 | 79 | 51 | 37 | 33 | 32 | 68 | -10 | 39 | 52 | 48 | 63 |
| მშენებლობა | -1 | 31 | 183 | 104 | 18 | 11 | 58 | 23 | 19 | 17 | 69 | 58 |
| სასტუმროები და რესტორნები | 15 | 18 | 63 | 29 | 19 | 9 | 6 | 105 | 19 | 19 | 27 | 45 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 58 | 58 | 55 | 35 | 7 | 29 | 17 | 14 | 14 | 17 | 62 | 28 |
| უძრავი ქონება | 4 | 5 | 164 | -35 | 20 | 19 | 12 | 38 | 21 | 16 | 22 | 11 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 6 | 12 | 8 | 17 | 41 | 23 | 14 | 10 | 7 | 16 | 8 | 6 |
| სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | -2 | 9 | 4 | 2 | -1 | 2 | 7 | 7 | 3 | 0 | 3 | 4 |
| ჯანმრთელობის დაცვა და | -2 | -2 | -2 | -3 | 0 | 81 | 0 | 60 | 17 | 13 | -1 | -2 |
| საფინანსო სექტორი | 92 | -129 | 41 | 112 | -6 | 52 | 69 | 64 | 58 | 59 | 50 | -31 |
| დანარჩენი სექტორები | 36 | 3 | 27 | 122 | 2 | -3 | 33 | -3 | -11 | 72 | 41 | 20 |

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2016 წლის IV კვარტალში 75 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 128 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი 63 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - მშენებლობის სექტორი 58 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016 წლის IV კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე №8:

**დიაგრამა №8.**

**უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016* წლის IV კვარტალში (%)**




*წინასწარი მონაცემები.

<u>**წყარო:**</u>

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ");
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

<u>**შენიშვნა:**</u> ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

შესაბამისი წყაროებიდან მიღებული დაზუსტებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა 2016 წლის კვარტალური მონაცემების დაზუსტება.

<u>**განმარტება:**</u> ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

<u>**გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:**</u>

0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა.

2016 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტალების წინასწარი მონაცემები დაკორექტირდა საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

2016 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2017 წლის 15 აგვისტოს.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32)36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.geinfo@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge